კომანი

სოხუმიდან 15 კმ დაშორებით მდებარეობს სოფელი კომანი. სოფლის ისტორია 2 ათას წელზე მეტს ითვლის და მდებარეობს მდინარე გუმისთას ნაპირებზე. ის განთქმულია

თავისი სიწმინდეებით და მართლმადიდებლურ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე უფრო პატივსაცემ ადგილად ითვლება.

ეს სიწმინდეები კი ქრისტინული სამყაროს ორ გამორჩეულად დიდ მოღვაწეს და ერთ წმინდა მოწამეს უკავშირდება. 407 წელს კამანში აღავლინა თავისი უკანასკნელი ლოცვა და აქვე აღესრულა იოანე ოქროპირი და აქვე, მის სახელზე აგებულ ტაძარში ასვენია მისი ქვის სარკოფაგი რომელშიც განისვენებდა ეს უდიდესი წმინდანი სანამ მის ნეშთს კონსტანტინოპოლში გადაასვენებდნენ.

მეორე წმინდა ადგილი არის სოფლის მთაში მდებარე გამოქვაბული , რომელშიც ნაპოვნი იქნა იოანე ნათლისმცემლის თავი, რომელიც შემდეგ ასევე კონსტანტინოპოლში გადაასვენეს.

წმიდა იოანე ოქროპირის სარკოფაგი (კომანი)

წმიდა ბასილისკოს საფლავი (კომანი)

მესამე სიწმინდე კი დაკავშირებულია წმინდა მოწამე ბასილისკოსთან რომელიც 308 წელს კამანში ჯერ აწამეს და შემდეგ თავი მოჰკვეთეს ტანი კი მდინარეში გადააგდეს. იმ ადგილას სადაც წმინდანს თავი მოჰკვეთეს წყარომ ამოხეთქა. წყარო სასწაულმოქმედად ითვლება და მასში განსაბანად უამრავი ადამიანი მიედინებოდა და მიედინება ახლაც.

ბოლშევიკური რეჟიმის დროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, იმისთვის რომ აღეკვეთათ მომლოცველებისთვის წყაროსთან მისვლის საშუალება, გადაწყვიტეს წყაროს ირგვლივ აეგოთ თევზსაშენი და წყაროს წყალი მთლიანად აუზში მოექციათ. როცა მათ ეს გეგმა აღასრულეს, წყაროს წყალმა ადგილობრივებთა ეზოებში ამოხეთქა, თვითონ აუზი კი ქვეწარმავლებით გაივსო და დაჭაობდა.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში სოფელში, რომელიც უმთავრესად ქართველებით და ბერძნებით იყო დასახლებული, აგარაკის ასაშენებლად მიწა იყიდა წარმოშობით აფხაზმა იური (გიორგი) ანუამ.

ადგილობრივი ბუნებით მოხიბლულმა და სიწმინდეებით შთაგონებულმა, გადაწყვიტა ბოლშევიკების მიერ აოხრებული სიწმინდეები აეღორძინებინა და აღედგინა.

ამავე დროს სოფელში მკვიდრდება ქართველი მღვდელ-მონაზონი ანდრია (ყურაშვილი) და ამ ორმა ადმიანმა, ქართველმა და აფხაზმა ხელჩაკიდებულებმა, უდიდესი ფიზიკური და სულიერი ღვაწლი ჩასდეს ამ საშვილიშვილო საქმეში. მათ აღადგინეს ეკლესიები, გაასუფთავეს და დაამშვენეს წმ. ბასილისკოს წყარო. წმინდა ნათლისმცემლის გამოქვაბულამდე მომლოცველებისთვის გამართეს რკინა ბეტონის1500 საფეხურიანი კიბის გზა, თავისი მოსასვენებელი ადგილებით.

მომლოცველები უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ სოფლისკენ, სიწმინდეებთან საზიარებლად. მაგრამ დაიწყო ძმათამკვლელი აფხაზეთის ომი და 1993 წლის 5 ივლისს სოფელში ჩრდილო-კავკასიელი და რუსი „ბოევიკები“ შემოიჭრნენ. ისინი მიუვარდნენ წმ. იოამე ნათლისმცემლის ეკლესიაში შეხიზნულ ადგილობრივ მოსახლეობას. მათ წინ შეეგება ეს ორი ადამიანი, აფხაზი და ქართველი. ბოევიკებმა ორივენი დახვრიტეს. ერთი იმისთვის, რომ ქართველთან მეგობრობდა, მეორე კი ქართველობისთვის.

კამანის ეკლესია, საიდანაც სეპარატისტებმა გამოიყვანეს და მოკლეს მართლმადიდებელი მღვდელი[2]

დღეს, ქართულ ეკლესიებსა და სიწმინდეებს, რუსები არიან დაპატრონებულნი. მაგრამ იმედია, შორს არაა ის დრო, როცა იმ ორი დიდი ადამიანის, აფხაზეთის და ქართველის ნამოღვაწარი მათი მოწამეობრივი სიკვდილით გასხივოსნებული, ისევ დაუბრუნდება დედა საქართველოს, ქართველ და აფხაზ ხალხს.